საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერგნელი მერი ალექსანდრეს ასული



ერგნელი (ნამდვ. გვარი – ხერხეულიძე-ყიასაშვილი) მერი (მარიამ) ალექსანდრეს ასული (21.V. 1906, თბილისი, – 19. V. 1991, იქვე), მსახიობი. საქართვ. სახ. არტისტი (1979). 1922–25 სწავლობდა საქართვ. პროლეტკულტის დრამ. სტუდიაში, პარალელურად 1924-იდან იყო თბილისის „წითელი თეატრის მსახიობი, 1926–27 – თბილ. მუშათა თეატრის, 1927–28 – ქუთ. თეატრის მსახიობი, ხოლო 1928-იდან სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში. იყო ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. უპირატესად ასრულებდა სახასიათო როლებს. ე-ის მიერ უშუალობითა და განსაკუთრებული ტემპერამენტით განსახიერებული როლებია: ფრაუ ბიუცნერი (ნ. საცის „ფრიც ბაუერი“), კლორიდა (ი. ზაიაიცკის „რობინ ჰუდი“), კაწაწა (გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“), კუკუშკინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), ლედი კაპულეტი (უ. შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“) და სხვ.

ლიტ.: ღ ვ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი ა., მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, თბ., 1956.

შ. ცუცქირიძე

Image not found or type unknown